საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდასამი წლის სამი აგვისტო. ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს გიორგი ჭიტაშვილთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ № 38, გამოცხადდა **შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის** (რეგისტრირებული 09.10.2018 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, დაბა წყნეთი, ნ.ფიროსმანის ქუჩა 2, საიდენტიფიკაციო კოდი: 405294319) დირექტორი **იოსებ ლომიძე** (დაბადებული 23.01.1984 წელს, რეგ.მისამართზე: ხაშური დ. სურამი გვერდისუბანი დას., პირადი ნომერი: 57001011821). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **ანა კაჭკაჭიშვილს** (დაბადებულს 27.08.1985 წელს, პირადი ნომერი: 01024037487) **შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის** საქმების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B18141367. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის სამ აგვისტოს მე, **შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 405294319) დირექტორი იოსებ ლომიძე** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში "მიმნდობი", უფლებამოსილებას ვანიჭებ **ანა კაჭკაჭიშვილს** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს", მასზედ, რომ მან წარმოადგინოს შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის ინტერესები საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.623, მისამართი: ვიქტორ კუპრაძის ქ.#2) ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ქონების მართვის სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, განცხადებები, შეიტანოს კორექტირება უკვე არსებულ პროექტებში, მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა; შეათანხმოს პროექტები, განაშენიანების გენერალური გეგმა, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტაცია, შეიტანოს განცხადებები, აიღოს ნებართვები, მათ შორის საპატრულო პოლიციიდან, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს ჩემი სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ორი კი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B18141367.

გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის # 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის თანახმად, 30.00 ლარი, დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად, 5.40 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 5.00 ლარი, სულ 40.40 ლარი.

მიმნდობი: ---------- იოსებ ლომიძე ----------

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკატორი ნომერი
30526798637823

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
**რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
**N231052904**

რეგისტრაციის თარიღი
**03.08.2023 წ**

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38
ტელეფონი:

---

საწოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**